ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 330

"18" ოქტომბერი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, აბანოს შესახვევი №7-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.063.060) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დან დიურ ჰოლდინგისთვის" (ს/ნ: 203855104) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, აბანოს შესახვევი №7-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.063.060) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დან დიურ ჰოლდინგისთვის" (ს/კ 203855104) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 10 ოქტომბრის №19.1080.1353 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, აბანოს შესახვევი №7-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.063.060) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დან დიურ ჰოლდინგისთვის" (ს/ნ: 203855104) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე